სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

ექსპერტის დასკვნა
FORENSICS REPORT



თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5002139124

08/04/2024

5002139124

შპს ,,დ ენდ ზ"-ს დირექტორს ბნ გიორგი ლიპარტელიანს

(თბილისი, კრწანისის რაიონი, ცურტაველის ქ., N 5)

ბატონო გიორგი,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2024 წლის 5 თებერვლის რეგისტრაციის N1000851024) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N002347724 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია - ერთი ფუთა

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

5002139124

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 07.04.24 (ხელმოწერა) გ.ა



002347724

ექსპერტის დასკვნა № 002347724

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს დ ენდ ზ

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: თბილისი, კრწანისის რაიონი, ცურტაველის ქ., N 5

სახელი და გვარი: გიორგი ლიპარტელიანი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

გენრიხ ბერიძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 50 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ექსპერტიზას ქ. თბილისი ი. ცურტაველის ქუჩა #5 ს.კ. 01.18.04.020.045 ქვაბულის ფერდების გაძლიერების პროექტზე.

შემოსვლის თარიღი: 05/02/2024 წ

გასვლის თარიღი: 08/04/2024 წ

დასკვნა

შპს „მონოლითი +"-ის მიერ მომზადებული „ქ.თბილისი, ი.ცურტაველის ქ. #5 (ს/კ 01.18.04.020.045) ქვაბულის ფერდების გაძლიერების პროექტი"-ს მეხუთედ კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს და კვლევაში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებელია მისი რეალიზაცია.

გენრიხ ბერიძე

გამოკვლევა

განმეორებითი ექსპერტიზით განხილება „ქ.თბილისი, ი. ცურტაველის ქ. #5 ს/კ 01.18.04.020.045 ქვაბულის ფერდების გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი", რომელიც დამუშავებულია შპს „მონოლითი +"-ის მიერ.

აღნიშნული პროექტის თავდაპირველ ვარიანტებთან დაკავშირებით, ბიუროს მიერ გაცემულია საინჟინრო ექსპერტიზის #003554223, #006170723, #007929523 და #000526324 დასკვნები, რომლებშიც პროექტის საერთო უარყოფით შეფასებასთან ერთად,

მათ მიმართ გამოთქმული იყო ცალკეული შენიშვნებიც და რეკომენდირებული იყო მათი გამოსწორება.

ავტორების მიერ მორიგ ჯერზე იქნა განხილული შენიშვნები, პროექტში შეტანილი იქნა დამატებითი ცვლილებები და მეხუთედ კორეტირებული სახით, კვლავ არის წარმოდგენილი ექსპერტიზაზე შემდეგი მოცულობით:

- ქვაბულის ფერდების გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი A3 ფორმატის ერთ ალბომად.

- ქვაბულის ფერდების გაძლიერების ანგარიშის რეპორტი A4 ფორმატის 84 ფურცელზე;

- ასევე საპროექტო დოკუმენტაციას თან ერთვის ქვაბულის გასაძლიერებელი კონსტრუქციების კვანძების გაანგარიშებები A4 ფორმატის სამ ალბომად.

- სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შდეგები A3 ფორმატის ერთ ალბომად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბოლო კორექტირებულ პროექტში ძირითადად გათვალისწინებულია ჩვენს მიერ გამოთქმული შენიშვნები და პროექტში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები.

პროექტის პირველ ორ გვერდზე მოცემულია ტექსტური ნაწილი განმარტებითი ბარათისა და ქვაბულის ფერდების გამაგრების მეთოდოლოგიის აღწერით, სადაც წინა ექსპერტიზის შენიშვნებთან დაკავშირებული განმარტებები და სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპების აღწერილობაა მოცემული (იხ. წინამდებარე დასკვნის დანართი). გრაფიკულ ნაწილში ასევე გათვალისწინებულია შენიშვნა ქვაბულის მომიჯნავე შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით; წინა პროექტებთან შედარებით დეტალურადაა მოცემული ქვაბულის გამაგრების კონსტრუქციული კვანძები, რაც დამუშავებულია თანდართული გაანაგრიშების შედეგების მიხედვით. ამასთანავე გასათვალისწინებლია, რომ „ფურცელ კ-19"-ზე „კვანძი IV"-ში გამორჩენილია კუთხოვანას პოზიცია და ზომები სიხისტის წიბოთი;

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ კორექტირებულ პროექტში არგუმენტირებული განმარტება არ არის მოცემული 400 მმ დიამეტრის ხიმინჯების კლდოვან ქანში ჩაბურღვის შესაძლებლობისა და ტექნოლოგიის თაობაზე, რის შესახებაც ჩვენს მიერ ყურადღებაა გამახვლიებული ყველა წარსულში გაცემულ დასკვნაში; შესაბამისად ქვაბულის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული გარემოება.

ამრიგად, შპს „მონოლითი +"-ის მიერ მომზადებული „ქ.თბილისი, ი.ცურტაველის ქ. #5 (ს/კ 01.18.04.020.045) ქვაბულის ფერდების გაძლიერების პროექტი"-ს მეხუთედ კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს და კვლევაში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებელია მისი რეალიზაცია.

გენრიხ ბერიძე

გამოყენებული მასალები

- შპს „გეოგემა"-ს მიერ მომზადებული „საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა";

- ქვაბულის გამაგრების კონსტრუქციული ანგარიშები;

- შპს „მონოლითი +"-ის მიერ მომზადებული „ქვაბულის ფერდების გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი" მეხუთედ კორექტირებული ვარიანტი;

გამოყენებული (ლიტერატურა , სტანდარტები , რეგლამენტები . . . .)

- სნ და წ 2.03.01-84* - ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები.

სნ და წ II-23-81* - ლითონის კონსტრუქციები

- პნ 01.01-09 - სეისმომედეგი მშენებლობა

002347724

ექსპერტის დასკვნა № 002347724

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ქვაბულის ფერდების გამაგრების მეთოდოლოგია

I რიგის შესასრულებელი სამუშაოებია;

,,4'' ღერძის გასწვრივ ჩამონგრეული შენობის დიდი ნაწილის დემონტაჟი, სამშენებლო ნარჩენების თვითმცლელზე დატვირთვა და გატანა ნაგავსაყრელზე

,,1'' ღერძის გასწვრივ მომიჯნავე შენობასთან, არსებული შენობის დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მსხვილი და წვრილი ბეტონის ბლოკების ერთობლიობაში მოწყობილი საერთო კედლის 443.28 ნიშნულზე მოწყობილი მსხვილი ბეტონის საკედლე ბლოკების ზემოთ (1400X1200X400 მმ) 6 ცალის დემონტაჟი, რომლებიც არანაირ კავშირში არ არის მომიჯნავე შენობასთან ე.ი საერთო კედელი არ წარმოადგენს კონტრფორსს. ამის შემდეგ მოხდება ქვაბულში დარჩენილი რკ.ბეტონის საძირკვლის ფილის ჩაჭრა არსებული კედლიდან 20 სმ-ზე, ასევე ქვაბულში დარჩენილი d=800მმ ხიმინჯის თავების გადატეხვა საძირკვლის ფუძის 432.60 ნიშნულამდე. მოგროვილი სამშენებლო ნარჩენების დატვირთვა თვითმცლელზე და გატანა შესაბამის ნაგავსაყრელზე.

II რიგის შესასრულებელი სამუშაოებია;

შემოტანილი იქნება ადგილობრივი გრუნტის მსგავსი ,, თიხნარი ღორღის ჩანართებით'' გრუნტი, გაიშლება 20 სმ სისქის ფენებად და დაიტკეპნება პნემოსატკეპნით გათიშული ვიბროდარტყმებით, ანუ მხოლოდ სვლაგეზით.

ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ არ მოხდება ქვაბულის შევსება 437.00 ნიშნულამდე.

შემდეგი პროცესია საბურღი აგრეგატის ,,ბაუერი''-ს შეყვანა და ბურღვითი სამუშაოების შესრულება. d=400 მმ ხიმინჯებისათვის (,,4'' ,,1'' და ,,ა'' ღერძების გასწვრივ). პარალელურ რეჟიმში მოხდება, ხიმინჯების არმირება, ჩაწყობა გაბურღულ ხვრელებში. ასევე თანმიმდევრობით მოხდება მათი ბეტონიზაცია.

III რიგის შესასრულებელი სამუშაოებია;

I და II რიგის სამუშაოების დასრულების შემდეგ შესრულდება ხიმინჯების დროებითი გამაგრება (ლითონის კონსტრუქციებით) კერძოდ მოხდება ფურც N - კ-14 - ზე ნაჩვენები შენობის გეგმის მიხედვით ,,1-2'' ; ,,ბ-ა'' და ,,3-4'' ღერძებს შორის ტრანშის ამოღება სიგანით 3 მ. სადაც მოეწყობა h=50 სმ სისქისა და 2.5 მ სიგანის ფილის მოწყობა, რომელიც დაარმირდება საპროექტო შენობის საძირკვლის ფილის შესაბამისად, დატოვებული იქნება არმატურის ნაშვერები შესაბამისი სიგრძით, რათა შემდეგში მოხდეს საპროექტო შენობის ძირითად ფილაში სრულყოფილად ჩამაგრება.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო
ექსპერტიზის ეროვნული ბიურო



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/დ1665-22
"04" 06. 2024წ

სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე დადგენილება
№შ-347/22-2
(მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების
ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე)

11.06.2024წ. ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ზურაბ მამსიკაშვილმა, განვიხილე შ.პ.ს „დ ენდ ზ"-ს (ს/ნ 405234919; მის.: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ცურტაველის ქ., №5) მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2022 წლის 4 ნოემბრის №4-1/დ1665-22 №შ-347/22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2022 წლის 4 ნოემბრის №4-1/დ1665-22 №შ-347/22 დადგენილებით შეჩერდა, ქ. თბილისში, ქუჩა ცურტაველი, №5, საკ. კოდი №01.18.04.020.045-ზე, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევით მიმდინარე სასტუმროს მშენებლობა შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრამდე, კერძოდ, ქ. თბილისში, ქუჩა ცურტაველი, №5, საკ. კოდი №01.18.04.020.045-ზე, მდებარე მშენებარე ობიექტზე (სასტუმრო) მშენებლობის უსაფრთხოების წესების უზრუნველყოფამდე (ზემოაღნიშნულ ფერდზე საჭიროა გამაგრების პროექტისა და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა და მათ შესაბამისად ყველა აუცილებელი ღონისძიების გატარება. ასევე გამაგრებითი სამუშაოების დასრულების შემდგომ, სავალდებულოა შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურებული იქნება განხორციელებული სამუშაოების ფერდის გამაგრების პროექტთან შესაბამისობა, რითიც უზრუნველყოფილი იქნება ფერდის მდგრადობა და რომლითაც გამორიცხული იქნება მიმდინარე მშენებლობის უარყოფითი ზეგავლენა მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე).

საქმეშია, 2024 წლის 1 მაისის №10/0124122292-17 განცხადება, რომლითაც წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა №5002139124 8/04/2024, რომლის თანახმად შპს „მონოლითი+"-ის მიერ მომზადებული ქ. თბილისი, ი. ცურტაველის ქ. №5 (ს/კ №01.18.04.020.045) ქვაბულის ფერდების გაძლიერების პროექტი"-ს მიხედვით კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს და აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებელია მისი რეალიზაცია. ამასთან, 2024 წლის 3 ივნისის №10/01241553040-17 განცხადებით

წარმოდგენილია შპს „ოპტიმუს"-ის მიერ ჩატარებული მშენებარე სასტუმროს შენობის ქვაბულის ფერდობის გაძლიერების (საყრდენი კედლები) პროექტის მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის საექსპერტო შეფასება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. თბილისი, ი. ცურტაველის ქ. №5 (ს/კ №01.18.04.020.045) მშენებარე სასტუმროს შენობისთვის მოწყობილი ქვაბულის ფერდობის მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროება მოითხოვს სამუშაოების გაგრძელდეს დაუყოვნებლივ არსებული პროექტის შესაბამისად. აღნიშნული განაპირობებს როგორც ფერდობების მდგრადობას, ასევე მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანას. აღნიშნულიდან გამომდინარე ქვაბულის შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებას, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად დადებითი რეკომენდაცია ეძლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან აღმოფხვრილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 127-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საფუძვლები, ამასთანავე, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს",

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლით და

დავადგინე:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, შ.პ.ს „დ ენდ ზ"-ს მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2022 წლის 4 ნოემბრის №4-1/დ1665-22 №შ-347/22 დადგენილება „მშენებლობის შეჩერების შესახებ";

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

ზურაბ მამსიკაშვილი